TUMANISHVILI FILM ACTORS THEATRE

მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი

29, 30, 31 ოქტომბერს

წარმოგიდგენთ

პრემიერას

უილიამ შექსპირის

„ჰამლეტი“

დამდგმელი რეჟისორი - ამირან ამირანაშვილი

28 ოქტომბერს, ხუთშაბათს, 19 საათზე

პრესის წარმომადგენელთათვის გაიმართება დახურული ჩვენება

ამა წლის დასაწყისში მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრმა მიიღო მსახიობ ამირან ამირანაშვილის პროექტი, რომელიც გულისხმობდა ე. წ. „ვორქშოფს“ ახალგაზრდა მსახიობებთან, რომლის საბოლოო შედეგი იქნებოდა დასრულებული სპექტაკლი - უილიამ შექსპირის „ჰამლეტი“.

თეატრისა და კინოს წარმატებული მსახობი ამირან ამირანაშვილი ერთ-ერთი დამმაარსებელია მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრისა. მან არაერთი მნიშვნელოვანი როლი შეასრულა, როგორც რეჟისორ მიხეილ თუმანიშვილის, ნუგზარ ბაგრატიონი-გრუზინსკისა და ცოტნე ნაკაშიძის

დადგმებში. 90-იან წლების დასაწყისში ამირან ამირანაშვილი გაემგზავრა საფრანგეთში პიტერ ბრუკის მიწვევით, სადაც 10 წლის განმავლობაში მუშაობდა სხვადასხვა თეატრებში (ბრეტანის ნაციონალური თეატრი (ქ. რენი), სარა ბერნარის თეატრი (ქ. პარიზი), შაიოს თეატრი (ქ. პარიზი). შემდგომი ეტაპი მისი ცხოვრებისა უკავშირდება რუსთაველის თეატრს. რობერტ სტურუასთან ერთად იმუშავა სპექტაკლზე „გოდოს მოლოდინში“ (პოცოს როლზე). შემდგომ მარჯანიშვილის თეატრში გიზო ჟორდანიასთან სპექტაკლზე „ძალად ექიმი“ . პარალელურად მოღვაწეობს კინოში. მონაწილეობა აქვს მიღებული თენგიზ აბულაძის („მონანიება“), ოთარ იოსელიანისა („მშვიდობით მიწა“, „ორშაბათი დილა“, „ყაჩაღები“, „შანტრაპა“) და სხვათა ფილმებში. დღეს იგი კვლავ განაგრძობს მოღვაწეობას თუმანიშვილის თეატრში. ამჟამად დაასრულა მუშაობა სპექტაკლზე უილიამ შექსპირის „ჰამლეტი“, სადაც როგორც ვახსენეთ რეჟისორის ამპლუაში გვევლინება.

ბატონმა ამირანმა შეკრიბა 13 ახალგაზრდა ენთუზიასტი მსახიობი, შვიდი თვე იმუშავა მათთან - ეტიუდებზე თუ სავარჯიშოებზე, იმ მიზნით რათა გადაეცა მათვის საქართველოში თუ საზღვარგარეთ დაგროვილი გამოცდილება, ცოდნა, პროფესიული აზროვნების, ოსტატობის, თუმანიშვილის სკოლის მნიშვნელობა, რათა მსახიობებს გამოემუშავებინათ როლზე დამოუკიდებლად მუშაობის უნარი.

მისთვის, რეჟისორისთვის მნიშვნელოვანია მსახიობებმა გააცნობიერონ სკოლა, მეთოდი, რაზეც შემდგომ ააგებენ სამსახიობო მოღვაწეობას - ნიჭი, მონაცემები, პიროვნული რესურსები - ხელობად უნდა აქციონ.

პატივისცემით,

საზოგადოებასთან ურთიერტობის მენეჯერი

მაია ოდიშარია

+99591 61 52 23; +99532 35 70 13